მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული
დაგეგმარების საკითხთა
კომისიის სხდომა

ოქმი №8

ქ. მარტვილი 18 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე, დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: შალვა ბახია, ლევან სურმავა, ზურაბ მელიავა, შალვა თაფლაძე, ზაურ ჯახუა.

სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა ბახია.

სხდომის თავმჯდომარემ შალვა ბახიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს.კ.:41.09.37.559, შპს ,,საქართველოს ფოსტა“-სთვის იჯარის წესით გაცემული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქვეიჯარით გაცემაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/მომხსენებელი-შალვა ბახია, საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე/

რეგისტრაცია გაიარა კომისიის 5–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის შალვა ბახიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს.კ.:41.09.37.559, შპს ,,საქართველოს ფოსტა“-სთვის იჯარის წესით გაცემული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის

ქვეიჯარით გაცემაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და განმარტა, რომ აღნიშნული ფართი იჯარითაა გაცემული შპს ,,საქართველოს ფოსტა"-ზე რომელიც ითხოვს კომპანიის ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე და მართვის გაუმჯობესების მიზნით აღნიშნული ფართის ქვეიჯარით გაცემას და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 5. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს.კ.:41.09.37.559, შპს ,,საქართველოს ფოსტა“-სთვის იჯარის წესით გაცემული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქვეიჯარით გაცემაზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: შალვა ბახია